

ტესტის სახელწოდება

CEA (Carcinoembryonic Antigen - კარცინოემბრიონული ანტიგენი)

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

ეს ტესტი სისხლში CEA-ს დონეს განსაზღვრავს. CEA ცილაა, რომელიც ნაყოფის ზოგიერთ ქსოვილში გვხვდება. მისი დონე ძალიან დაქვეითებულია ბავშვის დაბადების დროისთვის.

ჯანმრთელი ადამიანების სისხლში CEA ძალიან მცირე რაოდენობითაა და ძირითადად სხვადასხვა სახის ავთვისებიანი სიმსივნეების დროს მატულობს. CEA-ს მომატება ასევე შეიძლება გამოიწვიოს - ანთებამ, კოლიტმა, პეპტიურმა წყლულმა, ა.შ.

როდესაც პაციენტს კიბო აქვს და CEA-ს დონე მომატებულია, ეს ანალიზი სიმსივნის მარკერად გამოდგება. ასეთ შემთხვევაში, მას იყენებენ მკურნალობის მონიტორინგისთვის და რეციდივის გამოსავლენად.

კიბოს სკრინინგისთვის საკმარისი სპეციფიკურობა CEA-ს ანალიზს არ გააჩნია.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

CEA-ს ანალიზი, ჩვეულებრივ, სიმსივნის სხვა მარკერებთან ერთად ინიშნება და მას იყენებენ მსხვილი ნაწლავის, ფილტვის, ძუძუს, ღვიძლის, სწორი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნეებისას.

ამ ანალიზს მხოლოდ მაშინ იყენებენ, როდესაც კიბო CEA-ს დონის მომატებას იწვევს.

ასეთ შემთხვევაში, სისხლში მის კონცენტრაციაზე დაკვირვებით, ახორციელებენ მკურნალობის მონიტორინგს. ასევე, მიახლოებით განსაზღვრავენ პროგნოზს და კიბოს სტადიას, ახდენენ რეციდივის გამოვლენას.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი სპეციალურ მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

კიბოს მქონე პაციენტებში CEA-ს დონე ყოველთვის მომატებული არ არის.

თუ მკურნალობის დაწყებამდე მისი დონე მაღალი იყო და მკურნალობის შედეგად CEA-ს რაოდენობამ იკლო, ეს ნიშნავს რომ მკურნალობა ეფექტური გამოდგა.

მკურნალობის შემდეგ თუკი ხელახლა მოიმატა CEA-მ, ეს რეციდივის მანიშნებელი შეიძლება იყოს.

ჩვეულებრივ, CEA უფრო მაღალია კიბოს გვიან სტადიებზე.

მწვევლებს CEA-ს დონე უფრო მაღალი აქვთ არამწვევლებთან შედარებით. CEA მომატებული შეიძლება იყოს წყლულოვანი კოლიტის, სწორი ნაწლავის პოლიპების და სხვა დაავადებების დროსაც.